სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

11 / თებერვალი / 2025 წ.

KA080181199022925

№ **503**

განკარგულება

შპს „გეოტექნოგაზის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;

ტენდერის ნომერი: NAT240017440;

შესყიდვის ობიექტი: 38400000 – ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოები;

პრეტენდენტი: შპს „გეოტექნოგაზი“ (ს/ნ: 206337203);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 23 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2024 წლის 23 დეკემბრის № 28118/1 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 11124), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT240017440 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „გეოტექნოგაზის“ (ს/ნ: 206337203) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის info@geotechnogaz.ge მეშვეობით, 2024 წლის 26 დეკემბრის № 3735 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა 2025 წლის 8 იანვარს სააგენტოში წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის № 51) NAT240017440 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „გეოტექნოგაზმა“ (ს/ნ: 206337203) და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯიმ“ (ს/ნ: 401960197). სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შპს „გეოტექნოგაზისა“და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ მიერ NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი იყო იდენტური, რის გამოც 2024 წლის 29 ნოემბრის № 10 და 2025 წლის 6 იანვრის № 13 სხდომის ოქმებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „გეოტექნოგაზს“ (ს/ნ: 206337203) და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ (ს/ნ: 401960197) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და განმარტავს, რომ მან NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში წარადგინა ორი სხვადასხვა თურქული მწარმოებლის – CEM Water Meters და BAYLAN-ის ბრენდის წყლის მრიცხველები, მაგრამ იგი არის CEM Water Meters-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, ხოლო BAYLAN Water Meters-ის დილერი საქართველოში არის შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯი“, რომელიც ასევე მონაწილეობდა ამავე ტენდერში. ამ კომპანიის გარდა საქართველოში BAYLAN-ის ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი არის ფიზიკური პირი ს.ა. (შპს „გეოტექნოგაზის“ ტექნიკური დირექტორი). ს.ა. კურირებს BAYLAN-ის ბრენდის მიერ წარმოებულ ყველა ტიპის პროდუქციას: წყლის მრიცხველებს, ელექტროენერგიის მრიცხველებს, გაზის ჭკვიან ონკანებს და სხვა, აქედან გამომდინარე, მას აქვს შესაბამისი ურთიერთობა შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯისთან“. პრეტენდენტი განამრტავს, რომ NAT240017440 ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დავალების შესწავლის შემდგომ, აღმოჩნდა, რომ მისი პარტნიორის წყლის მრიცხველები აკმაყოფილებდა მრიცხველების ჩამონათვალის მხოლოდ პირველ პოზიციას, რის გამოც აქედან გამომდინარე მიმართა ს.ა.-ს, როგორც BAYLAN-ის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში, რომ, თუ შესაძლებელი იყო, ელექტრონული ტენდერის დანარჩენი პოზიციები შეევსო BAYLAN-ის მრიცხველებით, რაზეც BAYLAN-თან მოლაპარაკებების შედეგად მიიღო თანხმობა. პრეტენდენტი მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, BAYLAN-ის ოფიციალური დილერისგან მოითხოვა ტექნიკური დოკუმენტაცია და მიიღო მონაწილეობა NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში. პრეტენდენტი ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ არის BAYLAN-ის წარმომადგენელი და დილერი საქართველოში, შესაბამისად, მას NAT240017440 ელექტრონული ტენდერის მე-2 პოზიციაზე წარდგენილი ნიმუში (დ-15 მრავალჭავლიანი) მიაწოდა შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯიმ“, რაც ლოგიკურია, ვინაიდან მას არ აქვს BAYLAN-ის პროდუქცია ადგილზე.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2024 წლის 27 აგვისტოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ გამოაცხადა NAT240017440 ელექტრონული ტენდერი ფიზიკური მახასიათებლების კონტროლის ხელსაწყოების (CPV 38400000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „გეოტექნოგაზმა“ (ს/ნ: 206337203) და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯიმ“ (ს/ნ: 401960197).

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შპს „გეოტექნოგაზისა“და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ მიერ NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი იყო იდენტური, რის გამოც 2024 წლის 29 ნოემბრის № 10 და 2025 წლის 6 იანვრის № 13 სხდომის ოქმებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „გეოტექნოგაზს“ (ს/ნ: 206337203) და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ (ს/ნ: 401960197) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.4. შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯიმ“ სატენდერო კომისიის 2025 წლის 6 იანვრის № 13 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება 2025 წლის 17 იანვარს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის №DET240017440_03(NAT)).

4.5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭომ 2025 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით (საჩივრის №DET240017440_03(NAT)) იმსჯელა შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ საჩივარზე და ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

– № DET240017440_03(NAT) საჩივრის განხილვის სხდომაზე შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ წარმომადგენელმა აღნიშნა: „ტენდერის გამოცხადების ეტაპზე, შპს „გეოტექნოგაზმა“ მოგვთხოვა ფასები და ტექნიკური დოკუმენტაცია, რადგან სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული 7 პოზიციისთვის აპირებდა ჩვენი პროდუქციის წარდგენას. ჩვენ აღნიშნული დოკუმენტაცია მივაწოდეთ. ასევე, სხვა კომპანიებსაც ჰქონდათ სურვილი ტენდერში მონაწილეობის და რადგან ჩვენ ვართ კომპანია „Baylan“- ის ოფიციალური წარმომადგენელი, ვერ ვხედავ პრობლემას რომ ფასები და ტექნიკური დოკუმენტაცია მივაწოდოთ იმ კომპანიებს, ვისაც ჩვენი პროდუქციის შეთავაზება სურს. ასევე აღნიშნულმა კომპანიებმაც იცოდნენ, რომ ჩვენი კომპანიაც იღებს ტენდერში მონაწილეობას“;

– № DET240017440_03(NAT) საჩივრის განხილვის სხდომაზე შპს „გეოტექნოგაზის“ წარმომადგენელმა აღნიშნა: „როდესაც შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯისგან“ დოკუმენტაცია მოვითხოვეთ, ვიცოდით, რომ ტენდერში ისიც იღებდა მონაწილეობას. ეს კომპანია ყველა ტენდერში იღებს მონაწილეობას და შესაბამისად ვიცოდით. ამ ტენდერში პირველ ადგილზე სულ სხვა კომპანია გავიდა, თუმცა ეს კომპანია დისკვალიფიცირებული იყო, რადგან ნიმუში გადაამოწმეს. შპს „გეოტექნოგაზის“ პოზიციაა, რომ შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ არ ჩაუდენია არაკეთილსინდისიერი ქმედება, ჩვენთვის დოკუმენტების გადმოცემით. ასევე, არც ჩვენ ვმოქმედებთ არაკეთილსინდისიერად. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ფასების ცხრილებს, პირველ პოზიციაზე შემოთავაზებულ პროდუქციას. ასევე, ტენდერში ოთხი კომპანია იღებდა მონაწილეობას და ვერ ვხედავდი ვინ მონაწილეობდა და ვინ რომელ ადგილზე გადიოდა.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2025 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით (საჩივრის № DET240017440_03(NAT)) შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4.6. შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯიმ“ 2025 წლის 22 იანვარს სააგენტოში წარმოადგინა 2025 წლის 22 იანვრის განმარტება (რეგისტრაციის №539), რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ N4T240017440 ელექტრონული ტენდერის გამოცხადების პერიოდში მას დაუკავშირდა შპს „გეოტექნოგაზის“ წარმომადგენელი და მოსთხოვა პროდუქციის ფასები და ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც მიაწოდა, როგორც სხვა ნებისმიერ მომხმარებელს. შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯი“ განმარტავს, რომ 2025 წლის 6 იანვრის № 13 სხდომის ოქმში მითითებული ყველა სერტიფიკატი და ტექნიკური დოკუმენტაცია ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებულია მის მიერ, ასევე, სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებული სერტიფიკატები რეგისტრირებულია მის მიერ და ეს დოკუმენტაცია არ წარმოადგენს კომპანიის საიდუმლო ინფორმაციას, აღნიშნულიდან გამომდინარე, მას არ ჩაუდენია არაკეთილსინდისიერი ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გეოტექნოგაზი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ სატენდერო/საკონკურსო წინადადება ან

მისი კომპონენტი პრეტენდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო/საკონკურსო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) განსაჯაროების მომენტამდე. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/კონკურსში.

7.5. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო მიუთითებს NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების – შპს „გეოტექნოგაზისა“და შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში №DET240017440_03(NAT) საჩივრის განხილვის სხდომაზე გაკეთებულ განმარტებებზე, რომლებითაც დასტურდება, რომ აღნიშნულმა პირებმა ერთმანეთს გაუზიარეს სატენდერო წინადადების კომპონენტები (სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილი) სატენდერო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) განსაჯაროების მომენტამდე, და აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად დასტურდება პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის პირობების დარღვევა. შესაბამისად, NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტების მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რის გამოც არსებობს შპს „გეოტექნოგაზის“ (ს/ნ: 206337203) შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „გეოტექნოგაზმა“ (ს/ნ: 206337203) NAT240017440 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „გეოტექნოგაზი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „გეოტექნოგაზი“ (ს/ნ: 206337203) 2025 წლის 12 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე